თბილისში შენობა-ნაგებობების სახით არსებული კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია

(ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (თსუ მე-10 კორპუსი (მაღლივი))

თამარ ოთარაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ მათიაშვილი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ოთარაშვილი

08.01.2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

აბსტრაქტი

ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად შეიძლება ჩაითვალოს ქალაქ თბილისის იერსახის დაკარგვა, მოუწესრიგებელი არქიტექტურული ნაწილიდან გამომდინარე.

თბილისის არქიტექტურამ განვითარების რამოდენიმე ეტაპი გაიარა, მათ შორის ყველაზე რთულ და პრობლემატურ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს ბოლო პერიოდი, რომელმაც სტიქიური არქიტექტურული გიგანტომანიით, თბილისის ძირითადი ნაწილის საცხოვრებელ ზონად გადაქცევის სურვილით, ხშირ შემთხვევაში სამშენებლო და ქალაქგეგმარებითი ნორმების და წესების იგნორირებით გამოუსწორებელი კვალი დატოვა ქალაქის არქიტექტურაზე.

ამ ყველაფრის ფონზე, თითქოს მეორე ხარისხოვანი გახდა ქალაქისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ისტორიული უბნების და შენობა-ნაგებობების ავთენტურობის შენარჩუნება, მათი მოვლა და რეაბილიტაცია.

თბილისში შენობა-ნაგებობების სახით არსებულ კულტურულ ძეგლებს შორის, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელონად შეიძლება მოვიხსენიოთ „საბჭოთა არქიტექტურა“, რომელიც თავის თავში მოიაზრებს თბილისის ბევრ ცნობილ და სახასიათო მონუმენტური ვიზუალის მქონე საზოგადო თუ საცხოვრებელ შენობებს.

„საბჭოთა არქიტექტურის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ეგრეთწოდებული „მაღლივის“ შენობა, რომელიც დღემდე ასრულებს თავის ფუნქციას. მისი ადგილმდებარეობა და მაშტაბურობა საშუალებას იძლევა რენოვაცია, რეაბილიტაციის შემთხვევაში ქალაქის ერთ-ერთი მთავარი სტუდენტური და საგანმანათლებლო კომპლექსის განვითარების.

ჩემი აზრით მსგავსი სივრცეების ნამდვილად განიცდის თბილისი და განსაკუთრებით სახელმწიფო უნივერსიტეტის ის კორპუსები, რომლებიც „მაღლივის ბიბლიოთეკის“ შემოგარენშია განლაგებული.

მსგავსი ტიპის შენობების რენოვაცია-რეაბილიტაცია საშუალებას გვაძლევს არქიტექტურამ შეძლოს იერსახის შენარჩუნების შედეგად მოყვეს ქალაქის ისტორია ისე, რომ არ დაეკარგოს სივრცეს ფუნქცია და შეგვემატოს კიდევ ერთი ჩვენთვის შაჭირო საზოგადოებრივი საგანმანათლებლო ზონა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თბილისის არქიტექტურა, რეაბილიტაცია, რენოვაცია, არქიტექტურული მემკვიდრეობა, საბჭოთა არქიტექტურა